ხუთშაბათი, მაისის 1 1919 წ. ფასი 1 მანეთი. № 76.

ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 15 მან. 3 თვით 45 მან. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ღრმა მწუხარებაში მყოფი ილარიონ ანტონის ძე ხაზარაძე, მეუღლე მისი გულჩინა გაიოზის ასული, შვილები: ვალოდია (სტუდენტი), კატუშა, მარუსია, კოწია, გიორგი, ნიკოლოზ, ელენა, ლეო და დეიდაშვილები კალინკა და პახუმ მარგველაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას პირველნი უსაყვარლესის შვილის, მეორენი ძვირფასის ძმის, ხოლო დანარჩენნი დაუვიწყარი დისწულის საექიმო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის

ანტონ ილარიონის ძე

ხაზარაძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ლევაშოვის ქ. გამოსვენება და დასაფლავება 1 მაისს, ხუთშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე. დასაფლავება საფიჩხიის სასაფლაოზე

2—2

ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძე და მეუღლე მისი ნიფადორა გაიოზის ასული ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ, ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას მეორის დისწულის საექიმო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტ

ანტონის ილარიონის ძე

ხაზარაძისას.

გამოსვენება დღეს 1 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარი სახლი, ლევაშოვის ქ. დაკძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე.

1—1

გულდათუთქული დესპინე ბიჭიას ასული და შვილი მისი ექიმი კოლია იოსების ძე ანდრიაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას თვისი ნათლულის საექიმო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტ

ანტონის ილარიონის ძე

ხაზარაძისას.

დაკრძალვა დანიშნულია დღეს 1 მაისს, 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

1—1

გულდათუთქული დავით ამაშუკელი თავისი მეუღლითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას საუკეთესო და დაუვიწყარ მეგობრის

ანტონ (ანტუშა) ხაზარაძისას.

დაკრძალვა დანიშნულია დღით ხუთშაბათს 1 მაისს საღამოს 4 საათზე, საკუთარი სახლი, ლევაშოვის ქუჩა.

1—1.

განცხადება.

ამ წლის 25 მაისს ფარცხანაყანევის საზოგადოების კომისარიატში

დანიშნულია

კრება იმ პირთა ვინც

სარგებლობდა ფარცხანაყანევის არხით მიწების მოსარწყავათ, ვინც არხის წყლის ძალით ამუშავებდა მანქანებს და ვინც სარგებლობდა ამ წყლით სასმელათ, რიონის წყლის ოლქის საბჭოს და მირაბის ასარჩევად.

გამგეობის წევრი **მ. გავაშელი.**

საქმის მწარმოებელი **შ. აფხაიძე.**

3—2

ლიკვიდაცია

ვაჭრობის შეწყვეტის გამო ყოველგვარი საგალანტერეინო, ხელით დამზადებული საქონელი, აგრეთვე ქალებისა და მამაკაცების თეთრეულობა, მადეპოლონი თეთრეულობისათვის, საკისური, გალსტუკები, და სხვა მრავალგვარი

საჭირო საქონელი იყიდება

მაღაზიის მოწყობილობით. მ ურველთ შეუძლიათ შეიძინონ მთელად, აგრეთვე ნაწილობითაც.

მისამართი: ქარვასლის ქუჩა. ჩილინგაროვის სახლი, პირველი გიმნაზიის პირდაპირ. სავაჭრო **„უნივერსალი“.**

6—1

ექიმების მოგილიზაცია.

გამოცხადდა ექიმების მობილიზაცია „შავი სახადთან“ ბრძოლისათვის.

„სხვა სხვისა ომსა ბრძენია“ ამბობს რუსთველი. და ჩვენ რომელთაც მობილიზაცია არ გვეხება, გვეადვილება ამხანაგებისადმი მოწოდებით მიმართვა: წადით, დაკისრებული მოვალეობა აასრულეთო.

მაგრამ რას იქნ?! როდესაც ჯარისკაცს ომში სასიკვდილოდ იწვევენ, განა არ იციან, რომ თავი არავის ემეტება?! მაშასადამე, თუ კი სამშობლოს მძვინვარე სენით განადგურება მოელის, მთავრობას ნება აქვს უკიდურეს ღონისძიებას მიჰმართოს.

რამ გამოიწვია ექიმების მობილიზაცია?! „შავი სახადი“ ხალხს მუსრავს. ზარბაზანმა და თოფმა ვერ დააკლო საქართველოს ის, რაც ამ საშინელმა სენმა.

იმავე დროს ექიმების უმეტესობა ნაწილმა ქალაქებში მოიყარა თავი და სოფელს ექიმი აღარა ხვდა- მაშასადამე ექიმების გაგზავნა მაზრაში—აუცილებელია.

და ექიმები მთავრობის, ბრძანებას, დისციპლინას, აუცილებლად უნდა დაემორჩილონ. მაპატივონ ჩემმა ამხანაგებმა: ამის თქმა—მოქალაქობრივი მოვალეობაა.

ის სახელმწიფო სადაც მოქალაქე კანონზე დამყარებულ დისციპლინას არ ემორჩილება, არ შეიძლება არ დაინგრეს.

და დისციპლინის სიმკაცრის მხრით რუსეთის ბოლშევიკებმა, ასე გასინჯეთ. დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსაც გადაამეტეს!

ჩვენმა მთავრობამ კი, როგორც ნახევრად ანარქიულმა ორგანიზაციამ, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ვერავითარი წესი და დისციპლინა ვერ დაამყარა და მაგალითად, რკინისგზის, ფოსტის, სახაზინო მამულების და სხ. გამგეობა ერთსადაიმავე დროს მოსაზსახურეთა კავშირების ხელშიაც არის და მთავრობის ხელშიაც.

უფრო ადვილად ალაგმა მთავრობამ ინტელიგენტთა, ე. ი. მასწავლებელთა, იურისტთა, ექიმთა და სხ., კავშირები: ბუნებრივი კანონის ძალით, ყოველსავე-მოძრაობას პირი იქითკენ აქვს, საითკენაც ნაკლები დაბრკოლებაა.

ღმერთმა ქმნას, ამ პირველ ნაბიჯს შემდეგი ნაბიჯებიც მოჰყოლოდეს!

კმარა ამდენი ანარქია! დროა, დისციპლინა დამყარდეს ყველგან, უბრალო სახელოსნოდან დაწყებული დიდ სახელმწიფო დაწესებულებამდის.

დიახ! ექიმები, აუტანელ პირობებშიაც რომ იქნენ ჩაყენებული, დისციპლინას მაინც უნდა დაემორჩილონ.

მეორე მხრით არ შეგვიძლია გავჩუმდეთ და ხმა არ ამოვიღოთ მთავრობის მიზანშეუსაბამო განკარგულებათა შესახებ.

ექიმები, ჯარისკაცები და სხ. თუ მოვალე არიან დაემორჩილონ მთავრობის თუნდა მიზანშეუსაბამო ბრძანებას, მთავრობა თავისი მხრით მოვალეა ყურადიღოს მისი მოქმედების კრიტიკა: თვინიერ ამისა გაუძნელდება თავისი შეცდომების გასწორება.

მაშასადამე მართალი სიტყვის თქმის უფლება—მოქალაქის ხელშეუხებელი საჯარო უფლებაა.

და, როგორც მოქალაქე და ექიმი, მოვალე ვარ არ დავუფიცო მთავრობას და მოვახსენო შემდეგი: ექიმების მობილიზაცია იმ სახით, როგორც მან მოახდინა, მიზანშეუსაბამოა.

ექიმს აძლევენ თვეში ათას ხუთას მანეთს, რომლის ანგარიშში ავანსად მხოლოდ ხუთასს მანეთს. და ექიმის განკარგულებაში არც სადეზინფექციო საშუალებაა და არც წამალი.

მაშასადამე ექიმმა უნდა დააგდოს მშიერ მყწურვალი ცოლშვილი და წავიდეს ხელცალიერი პროვინციაში, არც საქმელი ექნება და არც სასმელი და ან „შიმშილს ვერ გადურჩება ან „შავ სახადს“.

და, თუ იმასაც მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართულ უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტის ჯერ მხოლოდ პირველი კურსია და ახალი კურს დამთავრებული ექიმები მხოლოდ 5—6 წლის შემდეგ გვეყოლებიან, ნება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ მთავრობა, რამდენადაც კი შეიძლება, გაუფრთხილდეს, დაზოგოს, უსარგებლოდ და უნაყოფოდ არ გაანადგუროს საექიმო ძალები.

რამდენად უფრო მიზან-შესაბამია აძერბეიჯანის მთავრობის განკარგულება. მოარულთან მებრძოლ ექიმებს თვეში ათ-ათი ათას მანეთს აძლევს! და, ჩვენი მთავრობაც რომ ასე მოქცეულიყო.

ცხადია, რესპუბლიკა არა თუ არაფერს წააგებდა, არამედ, პირიქით, ბევრს მოიგებდა.

ექიმები, რომელნიც ქონებრივად უზრუნველყოფილი იქნებოდენ, მოარულს უკეთ შეებრძოლებოდენ და უფრო ადვილად მოუღებდენ ბოლოს. მოარულის მოსპობა კი რესპუბლიკას—მილიონობით შესძენდა.

დიაღ!!. დიდი არითმეტიკა არ სჭირდება კაცს, რომ გაიგოს: როცა ათიათასობით დახარჯვა მილიონებს შეგმატებს, არ დახარჯვა-მიზანშეუსაბამო სიძუნწეა, შეტი არაფერი!

მაშ, ჩვენი აზრია: ექიმები თავისი მოვალეობის ასასრულებლად დღესვე უნდა წავიდენ, მაგრამ მთავრობა მოვალეა, ექიმები და მათ-ოჯახები ქონებრივად უზრუნველჰყოს.

თვინიერ ამ პირობისა ექიმთა მობილიზაცია—უნაყოფო იქნება.

ვასილ წერეთელი.

ჯარი და ჩვენი მომავალი.

საქართველოს დამოუკიდებლობა მაშინ იშვა, როდესაც ამიერ-კავკასიას ოსმალთა ჯარისაგან წალეკვა და აოხრება მოელოდა. სქელი და შავი ღრუბლებით იყო დაბურული პოლიტიკური ჰორიზონტი. არ იყო ბრწყინვალე პრესპექტივები, ნათელი სახე იმედიან მომავლის.

ამ დროს ყველას ყურადღება ჯარისკენ იყო მიპყრობილი, ყველა ჯარიდან „მოელოდა ხსნას. მაგრამ ეროვნულმა ჯარმა ვერ გაამართლა იმედები. თითქოს ჩვენს ლაშქარს ყოველივე კავშირი გაეწყვიტა ისტორიულ ტრადიციებთან.

ჩვენი ჯარის სისუსტის წყალობით დამოუკიდებელ საქართველოს გარეშე დარჩა საქართველოს დიდი ნაწილი. საქართველოს ჰიმკრები ღია იყო ოთეულს მტრულად განწყობილ მეზობელს შეეძლო საქართველოს ასეთი მდგომარეობით ესარგებლა და გადმოელახა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. თავის დასაცავად ქართველ ერს დიდი მილიტარული ენერგიის და ადამიანური მასალის დახარჯვა დაჭირდებოდა.

საჭირო იყო გარანტია უზრუნველმყოფი ასეთ არასასიამოვნო სიურპრიზებისაგან, საჭირო იყო ისე შემოხაზული სახელმწიფო საზღვარი, რომ ასეთი საფრთხის წინაშე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიყოებრივი იდეა არ დამდგარიყო. ეს მაშინ მოხდებოდა თუ კი საქართველოს ეროვნული სხეული გამთელდებოდა, თუ კიჩვენ ქვეყანას მისი სულის განუკვეთელი ნაწილები დაუბრუნდებოდა.

დღეს საქართველო ტერიტორიის გამთელებისა და შეკრების პროცესშია. ჩვენი ჯარი სამხრეთით იჭერს იმ სტრატეგიულ პუნქტებს, ურომლისოდაც საქართველოს დამოუკიდებლობა მუდამ საფრთხეში იქნებოდა. ჩვენი ჯარი რკინითა და მახვილით ასწორებს სახელმწიფოს საზღვრებს.

თუ კი სამხრეთ საქართველო ჩვენი მთავრობის ასეთ ყურადღებას იპყრობს, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. რუსეთის იმპერიალიზმი, სულერთია იმპერიალიზმის დირიჟორობას ლენინი გასწევს თუ დენიკინი, საქართველოს თვითარსებობისათვის მუდამ საშიში იქნება.

ახლა როდესაც დენიკინის ჯარს მთიელთა რესპუბლიკის ჯარები ებრძვის, ჩვენს გალაშქრებას დენიკინის წინააღმდეგ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს გარემოება ხელს შეუწყობს ჩვენსა და მთიელთა რესპუბლიკის შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარებას, ორივე რესპუბლიკის დაახლოვებასა და დამეგობრებას.

ჩვენ დენიკინის ძალების დაზვერვა მოვახდინეთ, რომელმაც მისი ძალების სრული სისუსტე გამოამჟღავნა. ამას იქით დენიკინის არსებობას მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ ოფიცერთა რეაქციონურ ნაწილს და შტატს გარეშე დარჩენილ ჩინოვნიკებს არსებობის წყარო არ მოესპოს, ანდა რუს მემარჯვენე პატრიოტებს რომანტიულ ოცნებათა საშვალება არ წაერთვას.

ქართული ჯარის ორი მიმართულებით წინსვლა მშვენიერი დემონსტრაცია იყო ჩვენი პოტენციალური ეროვნული ენერგიის და ეროვნული ძალების. ჩვენში ძლიერათ ყოფილა დაგროვილი მილიტარული ენერგია, სასიცოცხლო ძალები, თავდაცვითი ინსტიკტები, ეს გარემოება ჩვენს წინასა და ფასს ასწევს მოკავშირეთა თვალში, ქართველ ხალხს გაუფოლადებს ეროვნულ ნებისყოფას და ახალ ლაშაზ პერსპექტივებს დაუსახავს წინ.

ნერონი.

ქალაქის საბჭო.

(შთაბეჭდილება).

ქ. ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ჩვენ ვნახეთ ადამიანები, რომელთაც ქვეყნის წახდენის არ ეშინიათ.

დამახასიათებელია, რომ კარების გულშემხარავ ჭრიჭინსა და დარბაზში დოქით მოსეირნე დარაჯს დისონანსი ვერ შეაქვს სოციალისტურ ხმოსნების მუნიციპალურ შემოქმედებაში და დონკიხოტურის პირდაპირობით წყდება დიდი პოლიტიკური საკითხები.

აი თუ გნებათ რეკვიზიციის საკითხი!

გამგეობის წევრმა ქორქაშვილმა ფედერალისტური პათოსით აუწყა ხმოსნებს, რომ ვინმე ბუზიაშვილს რამოდენიმე ფუთი საპნის ქონი შენახული ქონია დღემდე და რომ საჭიროა მინისტრის დასტურით რეკვიზიციას მოვახდენთო.

ქორქაშვილის ფრაქციულ კოლეგამ ტრ. ხუნდაძემ კი მინისტრის დასტურიც ზედმეტათ სცნო და დღესვე მოითხოვა ქონის ჩამორთმევა. ის ასე მსჯელობდა: ჯერ რეკვიზიცია და შემდეგ მთავრობის დასტურიო.

მენშევიკების ფრაქციამ კი ყოველივე ამას ასეთი რეზიუმე გაუკეთა:

ჩამოვართვათ რასაკვირველია და შემდეგ სამართალშიც მივცეთო.

ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში სოციალისტების ასეთი რევოლიუციონური მეთოდი ჩვენ არ გვიკვირს, პრინციპიალურად აქ მოულოდნელი არაფერი გვინახავს მათის მხრით, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ძლიერ ახასიათებს მენშევიკებს: რევოლიუციის ორი წლის პრაქტიკამ ეს ხალხი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭიროა ეკონომიურ სარბიელზე კერძო ინიციატივის განმტკიცება. მენშევიკური პრესა თუ მართებლობა გადაჭრით ამ გზას დაადგა უკანასკნელ ხანებში და სხვათა შორის ჩვენ გვახსოვს „ერთობის“ ერთ ერთ წერილი, სადაც ერობას უსაყვედურებდენ რეკვიზიციის მოხდენას. მაგრამ როგორც ეტყობა ქუთაისის ქალაქის საბჭოსათვის და მის სოციალისტურ ხმოსნებისათვის ასეთი ცვლილება ჯერ არ მომხდარა.

ჩვენ სრულიადაც არ გვაქვს მიზნათ დავიცვათ სპეკულიაცია, როგორც ჩარჩული წესი წარმოებაში, მაგრამ ჩვენმა ფრაქციამ ჯერ ეროვნულ საბჭოში უწინასწარმეტყველა „სპეკულიაციის კანონის“ ავტორებს, რომ იმ გზითა და საშვალებით რითაც მთავრობა ცდილობდა სპეკულიაციის მოსპობას, მიზანს ვერ მივაღწევდით. ამ კანონის მიღების შემდეგ წელიწადი თავდება და ქვეყანა მოწმეა, რომ მთავრობა თავის მიზანს რაც უფრო არ შორდება, ერთი წუთითაც ვერ უახლოვდება. მთავრობამ და მისმა ორგანომ სავსებით შეიგნო ეს და სწორედ ამით ვხსნიდი ჩვენ კერძო ინიციატივისა თუ ვაჭრობის თავისუფლების პრინციპის პრაქტიკულად ქადაგებას, რითაც ამ რამოდენიმე დღის წინად ლიტერატურული ფურორს ახდენდენ მენშევიკები. ეს მთავრობის დეკლარაციაშიც იყო სავსებით აღნიშნული; მხოლოდ ფედერალისტების „განიარაღებულ“ ოპოზიციამ მიიტანა უნაყოფო იერიშები დეკლარაციის ამ მუხლებზე მაშინ, მაგრამ როგორც ეტყობა არც ისე უნაყოფოა ფედერალისტების ოპოზიცია თუ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მენშევიკურ ფრაქციას თავისი მტაცებლობითი მეთოდით აგრე ადვილად მოაჯადოებს.

ხმ. კ. სულაქველიძემ ბრძანა, ჩვენ სპეკულიაციას ვებრძვით და არა ვაჭრობის თავისუფლებასო, მაგრამ იცის თუ არა სულაქველიძემ, რომ დღეს არამც თუ მარტო ბუზიაშვილის საპონის ქონი, არამედ თვით მენშევიკური იდეოლოგია დიდი პოლიტიკური სპეკულიაციაა? სოციალისტური მაქსიმალობის ხვალინდელი დღისათვის გადადება მხოლოდ, იმ აზრით, რომ მაშინ რაც შეიძლება უფრო მომგებიან ფასებში გაასაღოთ და მეტი მუშტრებიც იშოვოთ, ხომ ისეთივე სასპეკულიაციო საგანია, როგორიცაა ბუზიაშვილის საპნის ქონი.

სხვა არა იყოს, თვით მარქსისტული დოგმა არ აძლევს მენშევიკებს იდეოლოგიურათ იმის უფლებას, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში არსებული ანარქიას, რეკვიზიციის დეკრეტებითა და სხვა პოლიტიკურ იარაღებით, ებრძოლოს, რადგანაც ეს უკანასკნელი უბრალო „ზედნაშენებათ“ აქვთ აღიარებული. რატომ არ ცდილობენ ეს რამდენიმედ საღი მოსაზრება თავიანთი მოძღვრებიდან ასეთს შემთხვევებში გამოიყენონ?

რეკვიზიციით ჩვენ არ გვწამს სპეკულიაციის მოსპობა. ამ გზას მხოლოდ წარმოებისა და ვაჭრობის სრულ განადგურებამდე მივყევართ.

დღეს, რომ ბუზიაშვილის ქონს ჩამოვართმევთ, ხვალ არცერთი ბუზიაშვილი არ მოიტანს არც ქონსა და არც სხვა საქონელს, რადგან ამით არ ვიძლევით ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლების გარანტიას.

უკანასკნელი ცნობები.

თბილისი. აპრ. 28. (ოფიციალური). შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსულ ცნობებით სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს, რომელიც გორის მაზრის ს. ცხინვალშია, ბოლო ხნის მოქმედება ეღმატება მის კონჰეტენციას და საქართველოს რესპუბლიკის საერთო მართველობის საქმეს ეხება, მაგალითად, საბჭომ თავისი ნებით გადააყენა საქართველოს მთავრობის მიერ ჯავის კომისარად დანიშნულა ცხოვრებოვი, მოაწყო ეკლესიის მრევლები, ცხინვალის რაიონში ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის შესახებ სამხედრო უწყების განკარგულებანი გააუქმა, დამფუძნებელ კრების არჩევნების წარმოებას ხელს უშლიდა და სხვა. ყველა ამის გამო და რადგანაც იმავე ცნობების თანახმად, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო წევრთა ახალ არჩევნებს ახდენს ოთხ ფორმულიანი საარჩევნო წესით იმ აშკარა მიზნით, რომ ამ დაწესებულებას მისცეს ხასიათი საჯარო ორგანიზაციისა, რომელმაც საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის იურიდიულ უფლებრივი მდგომარეობა უნდა გაარკვიოს, სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს ასეთი მოქმედება კი რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების უფლებათა დარღვევათ უნდა ჩაითვალოს, მთავრობა მოვალეთ სთვლის თავის თავს განაცხადოს, რომ ის იძულებულია შესაფერი ზომებიც მიიღოს ოსთა ეროვნულ საბჭოს ასეთი მოქმედების შესაწყვეტად. ამ საქმის შესახებ სათანადო დირექტივები ამასთანავე ერთად ეძლევა გორის მაზრის კომისარს. შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერი

ჭიჭინაძე. (ს. დ. ს.)

ბრძოლა ქურთებთან.

აპრილის 25 ს. ტურკაშენისკენ მიმავალს ჩვენს მზვერავ ნაწილებს და მოხალისე ბერძნებს ს. ჰოლადიკის სამხრეთით მაღლობებიდან სროლა აუტეხეს ქურთებმა. ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე უკუქცეულ იქნა ამ მაღლობებიდან და ჩვენი ნაწილები შეიჭრნენ ორა-კილისში, რის შემდეგ დაედევნენ მტერს და მიადგნენ ს. ტურკაშენს, სადაც ბერძნები სამღვდელოების მეთაურობით შეხვდნენ მათ პურ-მარილით და იქავე გადაიხადეს პარაკლისი.

ქურთებმა სამხრეთისკენ დაიხიეს, ხევა კირზიან და თელი ოღლისკენ. საღამოს ს. ხევა ჩვენმა ნაწილებმა დაიპირეს.

არპაშენის მიმართულებით ქურთებმა განიზრახეს ჩვენი ნაწილის შემოვლა, მაგრამ ვერ მოახერხეს.

რაზმის უფროსმა გენ. ფურცელაძემ მოითხოვა ქურთების წარმომადგენლებიდან დაყარონ იარაღი და დაემორჩილონ საქართველოს მთავრობას. წარმომადგენელებმა თანხმობა განაცხადეს.

ყარსის დაჭერა.

სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალ. ხატისოვი ტფილისში სომეხთა დიპლომატიურ მისიას დეპეშით აუწყებს: ჩვენმა ჯარმა ყარსი დაიჭირა, ადმინისტრაცია განაწილებულია ოლქების მიხედვით. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში სდგება. ლტოლვილნი ბრუნდებიან.

ქართველები ნოვოროსიაში.

ფოთი. აპრილის 28. ნოვოროსიიდან ჩამოვიდა საქართველოს კონსული, მოხალისეებს წინადადება მიუციათ ნოვოროსიის ქართველებისათვის, რომ მათ სამ დღეში დასტოვონ ქალაქი. მოხალისეების ტრანსპორტი, „ქსენია“ დაღუპულა ოდესის ახლო.

მთავრობის ნრეებში.

იუსტიციის სამინისტრო.

რკინის გზებზე მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამოძიებისათვის.

იუსტიციის სამინისტრო გზათა სამინისტროს აცნობებს, რომ საქართვ. რკინის გზებზე მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამოსაძიებლად დანიშნულია ორი გამომძიებელი: ერთის ტერიტორიალურ უბანს შეადგენს თბილისის სადგური და რკინის გზა თბილისიდან გორის სადგურამდე, მეორესას კი რკინის გზების მართველობა და რკინის გზა თბილისიდან ბოილომდე.

იუსტიციის სამინისტრო სთხოვს მათ განკარგულება მოახდინონ, რათა ხსენებულ გამომძიებელთ სათანადო დახმარება აღმოუჩინონ.

სასამართლო უწყებაში შტატის შემოკლებისათვის.

იუსტიციის სამინისტრომ შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა პალატისა და საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეთ, პროკურორებს და საპყრობილეთა ინსპექტორებს: სამინისტრომ დანამდვილებით იცის, რომ თქვენდამი

...ნებული დაწესებულებებში საჭიროზე ...მოსამსახურენი არიან, რომელთაც ...ითარი სამუშაო არა აქვთ და ჯა...რებს ტყუილად ღებულობენ. აგრეთვე ...ც იცის, რომ მოხელეთა შორის ბევ...ერთმანეთის ნათესავები არიან, რაც ...სახურის ინტერესის თვალსაზრისით ...ლად შეუწყნარებელია, არა თუ რო...იმე ერთ დაწესებულებაში, არამედ ...ლ უწყებაშიაც. ამიტომ გთხოვთ ამ ...წერილობის მიღებიდან 3 დღის გან...ლობაში: 1)შეამციროთ მოხელეთა მოსამსახურეთა რიცხვი რამოდენადაც შესაძლებელი იქნეს; 2) მიიღოთ ზო...ი, რომ არავითარ შემთხვევაში დარ...ილნი ზემოაღნიშნული ახლო ნათე...ები არ იყვნენ ერთმანეთის.

ექიმების მოწვევის შესახებ.

...ვინაიდგან სისხლის სასამართლოს სა...თა სწრაფი გამოძიება მეტად ...რხდება ქალაქებსა და დაბებში ...ს გამო, რომ მოკლულთა გვამების ...ის დროზე გაჭრა და შემოწმება ...უძლებელი ხდება, რადგან ქალაქი და საერობო თვითმართველობათ ...ა ჰყავთ ექიმები და კერძო ექიმების ...წვევა კი შეუძლებელია დიდი ჯილ...ოს მოთხოვნის გამო, ამისთვის იუსტი...ციის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამი...ნისტროსა სთხოვა რათა განკარგულება ...ხდინოს რომ ქალაქისა და საერობო ...თვითმართველობებმა მიიწვიონ სამსახურ...ში ექიმები და ამის შესახებ ადგილობ...რივ გამომძიებელთ აცნობონ.

ბათუმის ოლქის საკითხი.

...ბათომის გაზეთ „ნოვი კრაი“-ში და...ბეჭდილია ინგლისელთა შემდეგი განცხა...დება:

„კინტრიშის მცხოვრებთა საყურადღე...ბოთ ვაქვეყნებ ინგლისელ გუბერნატო...რის ჩაქვის წარმომადგენლის შემდეგ განცხადებას: „კინტრიშის მხრის უფროსს. თანახმად გუშინდელ ჩვენი მოლაპარაკე...ბისა გთხოვთ თქვენდამი რწმუნებულ მხა...რის მცხოვრებლებს აცნობოთ.—ბაქო ბა...თუმის რკინის გზის მთელი ლიანდაგი ინგლისელების სრულ გამგებლობაში გა...დავიდა. საქართველომ, როგორც ცენტ...რალურ რესპუბლიკამ და როგორც ბი...ამ ჩვენი მთავარი მისიისა, უნდა პასუხი ...გოს ყოველგვარ დეფექტების დროს, უნდა განაგოს კიდეც ეს რკინის გზა, მაგრამ უეჭველად ინგლისის კონტროლის ქვეშ.

თქვენში ქართველების მიერ გავრცე...ლებული ხმები, სინამდვილეს არ შეეფე...რება. ბათუმი ყოველთვის დარჩება ბა...თომის პროვინციათ და ყოველგვარ ტე...რიტორიიად დაუფლების სურვილს შეია...რაღებული ძალა შეჰხვდება.

...ღედანს ხელს აწერს სამხედრო გუბერ...ნატორი ჩაქვის წარმომადგენელი კაპიტა...ნი კრეინი. კინტრიშის მხრის უფროსი პოლკოვნიკი კუზიაევი.

ახალი ამბავი

ქ უ თ ა ი ს ი.

1 **მაისობა.** მუშა სოციალისტების ღღეობის გამო, დღეს პირველ მაისს ქუ...თაისში ყველა დაწესებულებები იუქმებენ.

✦ **ჩვენი გაზეთის** შემდეგი № 1 მა...ისობის გამო გამოვა 3 მაისს.

✦ **გაზეთის შეჩერება.** ქუთაისში შე...ჩერდა ს. ფედერალისტთა ორგანო „ხალ...ხის მეგობარი“ სოც. დემოკრატების ორ...განო „სოციალ-დემოკრატი“ კი მხოლოდ ორშაბათობით გამოვა. ქუთაისში დღეი...დან ყოველ დღიურათ მხოლოდ გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ გამოვა.

✦ **ახალ-სენაკის ქალაქის არჩევნები.** 29 აპრილს ქუთაისის საოლქო სასამარ...თლომ გაარჩია საჩივარი ახალ სენაკის ქალაქის არჩევნების შესახებ, რომელიც სოციალ-დემოკრატების მიერ უკანონოთ ჩატარდა. არჩევნები გაასაჩივრა მოქალაქე სამსონ გამყრელიძემ. სასამართლომ გულ...დასმით მოისმინა საქმე არჩევნების უკა...ნონობის შესახებ და გამოიტანა რეზო...ლიუცია, რომ არჩევნები ქალაქ სენაკისა გაუქმებულ იქნეს.

✦ **ქალაქის საავადმყოფოს დათვალ...იერება.** ქალაქის გამგეობამ გუშინ მოი...წვია საბჭოს ჯანმრთელობის კომისიის წევრები ქალაქის სავადმყოფოს დასათვა...ლიერებლათ.

✦ **საბჭოს სასკოლო სამკითხველოს კომისიის წევრებს სხდომა.** 3 აპრილს შესდგა ქალაქის საბჭოს სახალხო-სამკით...ხველოს კომისიის წევრების სხდომა.

✦ **ოქმის გაგზავნა დასამტკიცებლათ.** 30 აპრილს ქალაქის საბჭოს თავმჯდომა...რემ საადმინისტრაციო ნაწილის ინსპექტო...რის თანაშემწეს დასამტკიცებლათ გაუ...გზავნა 21 თებერვლის, 4 მარტს, 5, 10, 14, 17, და 18 აპრილის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომის ოქმები.

✦ **შაბიამანი.** ქუთაისის სამაზრო ერობა, ამ მოკლე ხანში მიიღებს შაბი...ამანს, აგრეთვე რამოდენიმე ვაგონ მა...რილს.

✦ **აპრილის შაქრის ულუფა.** ქუთა...ისის ქალაქის გამგეობის სასურსათო გან...ყოფილებამ დაადგინა: დაურიგდეს მცხოვ...რებლებს აპრილის შაქრის ულუფა სულ...ზე თითო გირვანქა. დარიგდება ფხვნილი შაქარი გირვანქა ექვს მანეთად.

✦ **ქუთაისის მაზრის კომისარი** ატ...ყობინებს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორის თანაშემწეს, რომ თანახ...მად თქვენი მოწერილობისა მე განკარგუ...ლება გავეცი, მუხიანის საზოგადოების საქმეები განაგოს ქვიტირის საზოგადოე...ბის კომისარმა. მასთან ერთად საჭიროთ ვრაცხ მოგახსენოთ რომ სოფელი მუხი...ანი რევოლიუციის დრომდის შედიოდა ქვიტირიის საზოგადოების ფარგლებში. რევოლიუციის შემდეგ იგი თავის ნებით გამოეყო ქვიტირის საზოგადოებას და შეადგინა ცალკე ერთეული. მაგრამ დღემდის მთავრობისაგან ცნობილი ეს საზოგადოება არ არის, არავითარ სუფ...სიდიას მთავრობიდან არ ღებულობს და ცალკე მიწერ-მოწერას ადმინისტრაცია მასთან არ აწარმოებს.

✦ **დაპატიმრება** ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დააპა...ტიმრა და საგუბერნიო ციხეში მოათავ...სა ქუთაისში შემდეგი მცხოვრებნი: ივანე მეავანაძე და ალექსანდრე დავითის ძე საყვარელიძე. პირველი მათგანი დაპატი...მრებულია როგორც ქურდი, მეორე კი როგორც რესპუბლიკისათვის მავნე პი...როვნება.

✦ **პირადი შემადგენლობის და სა...ფინანსო საბიუჯეტო კომისიის შეერ...თებული სხდომა.** 2 მაისს, დღით პა...რასკევს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში საღამოს 7 საათზე დანიშნუ...ლია ფრიად საყურადღებო საკითხების გასარჩევათ ქალაქის საბჭოს პირადი შე...მადგენლობის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების შეერთებული სხდომა. საბ...ჭოს თავმჯდომარე და ქალაქის მოურავი სთხოვს კომისიის წევრებს სხდომას აუ...ცილებლათ დაესწრონ.

იუბილე*).

ათი წელი, ათი წელი,
მწარეთ მოსახსენებელი,
საყვარელი, როგორც გველი,
მოთავკაცე ბელზებელი!...

კვდებათ — და აღარც მოკვდა!...
ორთაშუა გაეხირა,
ცოცხალ-მკვდრებში ჩარიცხულმა
კვლავ სიცოცხლე დააპირა!..

მოქვეშქვეშეს უამბორა,
ოქროს ვირზე რომ შემჯდარა,
და კვლავ ასე ეპირება,
ასე რიგად თუ უდარა!...

ეჩმიეთის მოციქულებს
დაუამა ყველას გული,
ხატის კაციც გვერდს უმშვენებს
მეტიჩრობით თავგასული!..

დიაცს რაღა ეკითხება:
თაიგულმა გააბრუა
და ერთიან დაუკარგა
სწორხედვა და საღი ჭკუა!..

ხიზანია წარმავალი
და ხიზანსვე მისცა ხელი!..
და ტაშს უკრავს მათ ორთავეს
გულგაშლილი მასპინძელი:

ერთმანეთი მოგახმაროთ
ცოცხლებით და თქვენი მკვდრებით!
მასთან ერთი შემისრულეთ,
ამას გთხოვთ და გევედრებით:

თქვენს სიყვარულს როცა ვხედავ,
გრძნობა როგორ შევიგუბო,
რომ სახსოვრათ არ მოგართვათ
მოსარგისი თქვენთვის კუბო,

რომ ამ სოფლად საყვარლები
იმ ქვეყნადაც ერთად იყოთ,
და, რასაც აქ ვერ მოესწრები,
სხვის სამკვიდრო იქ გაიყოთ!..

დ. თომაშვილი.

*) 1914 წ. ვორონცოვ-დაშკოვმა 10 წლ. იუბილე იდღესასწაულა თავის ტირანობისა კავკასიაში,— იმის გამო თქმული.

წვრილი ერთეულების არჩევნები.

ქუთაისის მაზრის ერობის წვრილი ერ...თეულების საარჩევნო კომისიამ დაადგინა: რომ ქუთაისის მაზრაში წვრილი ერ...თეულების ხმოსანთა არჩევნები, რომე...ლიც დანიშნული იყო 27 აპრილისათვის, 11 მაისისათვის გადაიდოს.

სათემო ხმოსანთა კანდიდატების სიების წარდგენა შეიძლება 4 მაისამდის.

ვაცნობებთ რა ამას პროვინციის პარ...ტიულ ორგანიზაციებს და პარტიის წევ...რებს, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ კანდიდატების სიის შედგენა,—ნუ დაიჩ...ქარებენ და სიები მოფიქრებით და უნაკ...ლოდ შეადგინონ.

ასეთი სიები როგორც ვსთქვით უნდა წარსდგეს საზოგადოების საარჩევნო კო...მისიებში 4 მაისამდის, ხოლო ასლი სიისა ჩვენ უნდა მოგვივიდეს.

ჩვენ ვაფრთხილებთ პარტიულ ორგანი...ზაციებს, რომ არ დარჩეს ისეთი თემი ანუ საზოგადოება სადაც ჩვენი სია არ იქნეს წარდგენილი.

ერ. დემოკრ. პარ. **საგუბერნიო კომ.**

დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ.). 27 აპრ.

გერმანული პრესა.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის გერმანულ პროექტის შესახებ კოპენჰაგენის გაზ. „სოც.-დემოკ...რატენი“ სწერს: „ხალხთა ლიგის მოკავ...შირეთა პროექტთან შედარებით გერ...მანიის პროექტს მნიშვნელოვანი უპირა...ტესობანი აქვს, თუ კი რასაკვირველია ხალხთა ლიგას მიზნათა აქვს საერთოთ ვილსონის პროგრამის განხორციელება და მომავალში ომის შესაძლებლობის თავიდან აცილება.

გერმანიის დელეგაცია.

საფრანგეთის მთავრობას გაეგზავნა აპ...რილის 27 ვერსალში მომავალ გერმანიის საზავო დელეგაციის წევრების სია. გარ...და 6 დელეგატისა: გრაფ რანტცაუსი, დ-რი გისბერგისა, ეროვნულ პარლამენ...ტის თავმჯდომარის ლეინერტისა პრო...ფესორ ინკლინგისა და დ-რ მელხიორისა, სიაში შედიან აგრეთვე: საგარეო ნა...წილის დირექტორი ფონ სტოკჰამერნი და სიმონსი, როგორც გენერალური კომისარები, საგარეო ნაწილის სხვა წევ...რესი და სხვა სამინისტროთა წარმომად...გენლები, როგორც ოფიციალური კო...მისარები. ამათ გარდა შედიან აგრეთვე ექსპერტები ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებში და დროებითი ზავის გერმა...ნიის კომისიის წევრები. დელეგაციას თან მიყვებიან საჭირო ტეხნიკური და საკანცელარიო შტატები და აგრეთვე ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს წა...რმომადგენელნი და გერმანული პრესის 15 წარმომადგენელნი მათი მდივნებით.

გერმანიის გასაჭირი.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ სწერს: „მოკავშირეთა მუქარას, რომ ისინი გა...ნაგრძობენ გერმანიის ტერიტორიის ოკუ...პაციას და შესწყვეტენ სურსათის მიწო...დებას, თუ გერმანელებმა ზავი არ მიიღეს, ამ ოკუპაციას დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს. მოწინააღმდეგის არმიებს შეუძლია დაიპყროს რეინის და ვესტფალის სამრეწველო ოლქები და გერ...მანიის მაღაროები. მიუხედავათ ამისა გერმანიას არ უნდა შეეშინდეს ასეთი მუ...ქარისა საზავო ხელშეკრულების საკითხში. მხედველობაში უნდა მიღებულ იქნას ის, თუ ზავის შეკრას ჩვენი დამონება ხომ არ მოყვება, თორემ ეს უფრო ცუდი იქ...ნებოდა და იქნება ზავის უარყოფა უფრო ადვილათ ასატანი უბედურება გამოდგეს. საფრანგეთის საქციელი დაპყრობილ ოლ...ქებში ააშკარავებს მის დაპყრობით განზ...რახვებს. მიუხედავათ ხალხთა ლიგის შექმნისა, რჩება უძლიერესი პოლიტიკუ...რი კავშირები, რომლებიც გერმანიის წი...ნააღმდეგაა მიმართული.

ასეთი მუქარა ვერ აიძულებს გერმანი...ას, რომ ვისმეს დანებდეს გასაცარცვა...ვათ. იგი ვერსალში დაიცავს თავის არ...სებობის უფლებას და კაცობრიობის ინ...ტერესები მოითხოვს, რომ შეიკრას სამა...რთლიანი ზავი რომელსაც მხოლოთ პა...რიზის მხრით მოელის საფრთხე.

ქურთისტანის ავტონომია.

კონსტანტინოპოლის გაზეთებიდან სჩანს, რომ ინგლისელებს აზრადა აქვთ ქურთის...ტანის ავტონომია შექმნან. მისი ტერი...ტორია უნდა შესდგეს სანჯაყ ეკიარისა...გან (ვანის ვილაეთის სამხრეთი ნაწილია). სანჯაყ სგერი ბითლისისგან და დიარბე...გირის ვილაეთის სამხრეთ ნაწილისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის კაბელები.

გერმანიის სამრეწველო საბჭო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ გერმანიის საოკეანო კაბელები, რომელიც კერძო საკუთრებას შეადგენს, ბლოკადის შეწყვეტის შემდეგ დაუყონებლივ იქნეს დაბრუნებული.

გერმანია და იტალია

გერმანიაში დიდი ინტერესით კითხულობენ იტალიურ გაზეთებს, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ გერმანიას საარის ოლქსა და დანციგს ართმევენ. მაგრამ მაინც ეჭვი შეაქვთ იმაში, რომ იტალიამ უარი სთქვას ტიროლის სამხრეთით მდებარე გერმანიის ოლქებზე.

ბოლშევიკური ცნობები

ლიონი. აპრ. 26. რომიდან მოსული ოფიციალური ცნობები იწყებიან, რომ მცხოვრებნი ორლანდოს მხარეზე არიან. ფიუმეს საკითხს ისე აჩრდილებენ, როგორც ნამდვილ ეროვნულ საკითხს. რომში ამერიკის და ინგლისის საელჩოს შენობის წინ შეიკრიბა ხალხი და მოაწყეს დემონსტრაცია, რომლის დროსაც ლიოდ ჯორჯს და ვილსონს ცუდათ იხსენიებდენ. ორლანდო ჰფიქრობს, განსახილველად საკითხი წარუდგინოს მეფეს, შემდეგ პარლამენტს დაუყენოს საკითხი ნდობის შესახებ.

სონინო და სალანდრა ხვალ პარიზიდან წავლენ. იაპონიის ელჩმა დღეს ორივე ინახულა. ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან იაპონია ამ უკანასკნელ ხანებში აგრეთვე გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას საზავო მოლაპარაკების გამო.

ნაუენი. აპრ. 27. გერმანიის ცენტ. მთავრობა, რომელმაც საქსონიის რესპუბლიკაში საალყო წესები გამოაცხადა, განმარტავს, რომ ამით საშუალება არ ესპობა ლეიპციგის ბაზარზე მიმსვლელებს და სხვა და სხვა ეკონომიურ კავშირების წევრებს უნებართოთ მოაწყონ კრებები.

ვორონეჟი, აპრ. 28 ზეიმით გაიხსნა ვორონეჟის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ფაკულტეტი.

სამარა. აპრ. 28 „კრასნი სტრელოკის“ სიტყვით, ტიუმენში კოლჩაკელებმა ჩაქრეს 10,000 ჯარში გაწვეული მუშის და გლეხის აჯანყება. აჯანყებულებმა მოასწრეს არსენალის გატეხა, ციხიდან პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლება და მრავალი ოფიცრის მოკვლა. ბუგურუსლანის პოლკის პირველ როტაში კოლჩაკელებმა 30 კაცი დახვრიტეს წითელ ჯარისადმი თანაგრძნობისათვის. ამავე როტაში ჯარისკაცთა თანაგრძნობისთვის დაიჭირეს რამოდენიმე ოფიცერი. თურქესტანის ჯარის შტაბი. სახალხო არმიელების წითელ ჯარში გადმოსვლა გრძელდება. კოლჩაკის მიერ გამოცხადდა მობილიზაცია მრავალ ადგილას არეულობას იწვევს. რომელსაც თეთრ გვარდიელები დიდის სიმკაცრით აქრობენ. მრავალი გამოქცეული სამხედრო ტყვე წითელ ჯარში ეწერება. შეკრებილი ჯარი ამბობს, რომ დროზე აძლევდენ მათ იარაღს ისინი ამდენხანს დაამარცხებდენ მათ ძალა-უფლებას, მაგრამ გაწვეულ ჯარს იარაღს აძლევენ მხოლოთ ფრონტზე. ისინი ბრძოლაში მიყავთ მათრახის ცემით. ყაზახებს სურთ მოიცილონ ოფიცრები და წითელ ჯარში ჩაეწერონ. სახალხო არმიაში გავრცელდა ოფიცერთა ხოცვა. დისციპლინას იცავენ მხოლოთ პარტიზანები რომელნიც ტყვიისმფრქეველებით ხვრეტავენ მათ ვისაც წითელ ჯარში ჩაწერის სურვილი აქვს. წითელ ჯარში სულიერი განწყობილება აღწერელია. სოფლის მცხოვრებნი თეთრგვარდიელებს მტრულათ უყურებენ.

ლიონი აპრ. 27 შაბათს სონინო პარიზიდან რომში წავიდა, მტკიცდება, როს გერმანია სანამ ზავის პირობებს ხელს მოაწერს მოახდენს საყოველთაო ხმის მიცემას.

ბუდაპეშტი, აპრ. 27 რუმინეთის ზოგიერთ ადგილებში რუმინელები განაგრძობენ შეტევას. საზოგადო მდგომარეობა შეიცვალა არსებითათ.

ნაუენი. აპრ. 27. მიუნხენში პოლიციის უფროსის ადგილი დაიჭირა მუშა დეტჩინმა, პროფესიით ყოფილმა ზეინკალმა მიუნხენში ყოველ დღე ჩდებიან ევროპლანები მთავრობის ბანაკებიდან, რომლიდანაც ყრიან გოფმანის მთავრობის ბანაკებიდან გაზეთებს და ფურცლებს.

ლიონი. აპრ. 27. რომში ამერიკის საელჩოს წინ დაყენებულია ჯარი, აღელვებულ ხალხისაგან შენობის დასაცავათ. რომიდან ამერიკის ელჩი იეწყება, დემონსტრაციისა და სატახტო ქალაქის მცხოვრებთა აღელვების შესახებ.

ნაუენი აპრ 28. შაბათს ამსტერდამში გაიხსნა საერთაშორისო უფლების სოციალისტური კონფერენცია, ბრანტინგის თავმჯდომარეობით. კონფერენციის პროგრამა შემდეგი მუხლებისაგან შესდგება; 1) ტერიტორიალური საკითხები, 2) ინტერნაციონალის განახლება და მოსკოვის მანიფესტი. 3) მუშათა პრესის განვითარება, 4) ლიუცერნის-საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, რომლის მოწვევას მარიამობისთვეში ფიქრობენ და მე 5) პროლეტარული ზავი. ინგლისიდან მოვიდა ბერდენსონი და ბოტა. საფრანგეთიდან რენოდელი და ლონგე. დამოუკიდებელთა დეპუტატმა ჰაზეზმ და გერმანულ ავსტრიის დეპუტატმა ზეილიგერმა მიიღო წასვლის ნებართვა.

ლიონი. აპრ. 27. ოთხთა საბჭოს უკანასკნელ თათბირზე იტალიამ წინადადება წამოაყენა, ფიუმე ხალხთა ლიგის განკარგულებაში გადასცეს. მართველობის მანდატი შეიძლება გადაეცეს „იტალიას ვადის აღუნიშვნელათ. ამასგარდა იტალიას უნდა გადაეცეს ადრიატიკის ზღვაში ზოგიერთი კუნძულები და დალმაციის ნაპირები.

ნაუენი. აპრ. 28. რიგა ლიუქსენბურგის და ლიბკნეხტის მკვლელობაში მონაწილეთა გასამართლება დანიშნულია 8 მაისს მონბიტში სისხლის სამართლის დიდ დარბაზში. დასწრება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ ნებართვით. საქმე გაგრძელდება არა ნაკლებ ამი დღისა.

ბუდაპეშტი. აპრ. 27. უნგრეთში კაპიტალისტებისაგან მრეწველობის ჩამორთმევა და პროლეტარიატის ხელში გადაცემამ სრული წესრიგით ჩაიარა. საქარხნო კომიტეტებმა დაიწყეს წარმოების მართველობა. რომ შეუწყვეტელი მიფარება უზრუნველყოფილ იყოს წვრილ სამრეწველოებს შეავიწროვებენ, რის საშუალებითაც მიიდწევენ სათბობი მასალის ეკონომიას. გაუქმებულია ყოველგვარი სამრეწველო უპირატესობა. გააუქმეს პატენტები, რომელიც მუშათა კლასის მოწინამდეგეა პირდაპირი. დირექტორები დაითხოვეს, დადანარჩენები კანტროლს ქვეშ იმყოფებიან. ტეხნიკურ პერსონალს არამც საბოტაჟობა არ ეტყობა, როგორც ეს იყო რუსეთში არამედ თანაგრძნობაც კი პროლეტარიატის საქმეში.

ნაუენი, აპრ. 28. მომავალ პირველ მაისის დღესასწაულის გამო, გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტმა მიმართა ბერლინის მუშებს შემდეგი მოწოდებით: „ახლოვდება ის დღე, რომელიც პროლეტარიატი 30 წლის განმავლობაში დღესასწაულობს ნამდვილ პროლეტარულ უქმეს. ამ დღეს ისმის ძლიერი ხმა მთელი ქვეყნის მუშებისა 8 საათის სამუშაო დღისთვის, შრომის დაცვისთვის ძმობისთვის და ერთობისთვის წ. 1 მაისის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, რევოლიუციამ გაგვანთავისუფლა ძმიმე მონობისაგან. ახლოვდება მთელი ქვეყნის პროლეტარიატის, მთელი კაცობრიობის განთავისუფლება. მომავალი ხალხთა ლიგა გამსჭვალული უნდა იქმნეს უმაღლეს საკაცობრიო სულით. ხალხთა ერთმანეთის ჟლეტას უნდა ბოლო მოეღოს და იყოს საუკუნო მშვიდობა ქვეყნად. 1 მაისს თქვენ გაუწოდებთ ძმურ ხელს ყველა ქვეყნის ამხანაგებს, ღრმა რწმენით, რომ ეხლანდელი ინტერნაციონალი იქნება ურყევი და მისცემს კაცობრიობას თანასწორობას და ძმობას.

ბუდაპეშტი, აპრ. 28. საბჭოთა მთავრობამ დანიშნა ბემა... (დამახინჯებულია) მდ. ტისის იქითა მხარეზე ჯარის მთავარ სარდლათ ზურგში კი მთავარ სარდლათ დაინიშნა ტიბორ სამუელი, რომლის მიზანია კონტრრევოლიუციასთან ბრძოლა და წესრიგის და დისციპლინის დაცვა ჯარში და მცხოვრებთა შორის. 22 აპრილს რუმინელებმა დაიწყეს მთელ ფრონტზე შეტევა რუმინეთის სამხრეთის ფლანგმა რამოდენიმეთ წინ წაიწია.

პეტერბურგი. აპრ. 28 ეკატერინოსლავის ორთქლმავალის სახელოსნოებმა მარტის განმავლობაში გამოუშვა 16 ორთქლმავალი, სამხრეთ დნეპრის რ. გ. სახელოსნოებმა 1300 ვაგონი. ეს უახლოვდება მშვიდობიან დროის ნორმას, რაც მოწმობს შრომის ნაყოფიერების გაძლიერებას. რუსულ ორთქლმავლების წარმოების ქარხნებმა იანვრის და თებერვლის განმავლობაში დაამზადეს 18 ახალი ორთქმავალი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 100 პროც.

მოსკოვი. აპრ. 28. ვლადივოსტოკიდან მთელ ციმბირზე გამოვლილის სიტყვით და შორეულ აღმოსავლეთის გაზეთების ცნობით მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში ასეთია: უკანასკნელ ხანამდე ციმბირი ირკუსკის აღმოსავლეთიდან კოლჩაკის მთავრობასთან ძალიან ცუდ დამოკიდებულებაში იყო. აღმოსავლეთი ციმბირი სავსეა პატარა დესპოტებით, რომელნიც გრძნობენ თავის თავს სრულ უფლებიან ბატონებათ. ავანტიურისტი პოლკოვნიკი სემენოვი უკანტროლოთ განაგებს აღმოსავლეთ. ჩინეთს რკინის გზამდე მთელ მანძილზე. აღმოსავლეთ რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე მიდის ხარბინიდან ვლადივასტოკში და უკან წესრიგის დასამყარებლათ.

კორესპოდენცია.

სოფ. მაღლაკიდან. სოფ. მაღლაკში ძალიან გავრცელებულია შავი სახადი. დღე ერთია და ავად გახდომა ათ; ხალხი იხოცება, მაგრამ შველა არსაიდან არის. სოფელმა უკვე მიმართა სამაზრო საერობო გამგეობას, მაგრამ აქამდის ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო და უკ[illegible] ტრონოთ [illegible] ეტყობა [illegible] სძინავს, რას აკეთებს? „ეს არის თქვენ[illegible] დაპირებანი?“ გაიგონებთ სოფელში გლ[illegible] ხის მიერ ნაღვლიანად ამოძახილ საყ[illegible] დურს, მაგრამ რას გახდები, როდეს[illegible] თვითონ მთავრობა ამის შესახებ არაფ[illegible] თარ ზომებს არ ღებულობს და მთ[illegible] თავის დღეებს პარტიულ კინკლაობ[illegible] ანდომებს. როდემდის იქნება ეს [illegible] არ ვიცით, მაგრამ ეს კია, რომ მაღლა[illegible] ში ხალხი იხოცება და მას პატრონი ა[illegible] ჰყავს.

თუ სამაზრო საერობო გამგეობა [illegible] მიიღებს ზომებს და მაღლაკში ექიმს [illegible] გაგზავნის, ავადმყოფობა მეზობელ სო[illegible] ლებსაც გადაედება და ხალხს მუსრს გა[illegible] ვლებს.

ქოჩაქიძე.

— —

ს. თერჯოლა (შორაპნის მაზრა) რო[illegible] გორც სჩანს აქ ძლიერ იკიდებს ფე[illegible] შავი სახადი. ისე კვირე არ გაივლ[illegible] ორი-სამი ადამიანი არ მიიბარონ მიწა[illegible] უფრო ახალგაზდობას ემტერება. სენ[illegible] გამო სამი კვირაა უმაღ. პირ. დაწყ. [illegible] ორკლასიანი სასწავლებლების მოწაფეებ[illegible] დათხოვნილი არიან.

გლეხები მიწებზე ჯერ კიდევ ვერ მი[illegible] რიგებულან. ისე ვერ შეკრებილან, რო[illegible] ერთი ალიაქოთი არ მოახდინონ, თვი[illegible] ეულს კარგი და ბევრი მიწა უნდა მი[illegible] ღოს, საიდან, როდი კითხულობენ. გაჩ[illegible] ღდა მუშაობა. ვაზები შეიფოთლა. ორ[illegible] სამი კვირას იქით მოსარწყავი იქნება[illegible] შაბიამანი-კი არ მოიძებნება. 800-900 [illegible] ვერ მიუციათ ფუთში და შესჩერებიან [illegible] 40,000 ფუთ შაბიამანს. რომელიც (თ[illegible] მაროლა) მოდის ინგლისიდან. ქურდობ[illegible] ძლიერ გახშირდა ისე ლამე არ გაივლ[illegible] რომ ვინმეს რამე არ მოპარონ. არც არ[illegible] ვისი ეშინიათ ამ ვაჟბატონებს. თუ ჩუ[illegible] მად წაიღოს ხომ კარგი, და თუ გაიგ[illegible] არც მაშინ რცხვენიათ.

ვ. გუთნურისპირელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება, დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეწყვიტოს გაზეთის გზავნა.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ეროველ დღიური გაზეთ

„ჩვენი ქვეყანა“-ზე

გაზეთის ფასი: ერთი თვით 15 მან. სამი თვით 45 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

ეროველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო“

1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.
მისამართი: თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5), (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თფილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიერლისა ქვეითისში.